

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-9/ნ

2016 წლის 4 მარტი

ქ. თბილისი

სამედიცინო დაწესებულებების კლასიფიკაციის განსაზღვრის თაობაზე

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-15 მუხლის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული სამედიცინო დაწესებულებების კლასიფიკაცია.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრი

დავით სერგეენკო



სამედიცინო დაწესებულებების კლასიფიკაცია

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

დოკუმენტის მიზანია სამედიცინო სერვისების მიმწოდებელთა კლასიფიკაცია მათ მიერ მიწოდებული სერვისების ხასიათის, დაწესებულებათა სიმძლავრის, პაციენტის დაყოვნების გათვალისწინებით.

მუხლი 2. სამედიცინო დაწესებულებების კლასიფიკაცია

სამედიცინო სერვისების მიმწოდებელი დაწესებულებები იყოფა შემდეგ ჯგუფებად:

- ა) ამბულატორიული დაწესებულებები;
- ბ) სტაციონარული დაწესებულებები;
- გ) ხანგრძლივი მოვლის დაწესებულებები;
- დ) შინმოვლის დაწესებულებები/ბინაზე სამედიცინო სერვისის მიმწოდებელი სუბიექტები;
- ე) ჰოსპისი;
- ვ) სასწრაფო გადაუდებელი დახმარებისა და სამედიცინო ტრანსპორტირების (რეფერალის) სამსახურები;
- ზ) დამხმარე სერვისების მიმწოდებელი დაწესებულებები;
- თ) საზოგადოებრივი ჯანდაცვის ლაბორატორიები.

მუხლი 3. ამბულატორიული დაწესებულებები

ამბულატორიული სერვისების მიმწოდებელი დაწესებულებები აწარმოებენ დაავადებათა პროფილაქტიკასთან, დიაგნოსტიკასთან, მკურნალობასთან, რეაბილიტაციასა და/ან პალიატიურ მზრუნველობასთან დაკავშირებულ სამედიცინო მომსახურებას. ისინი სამედიცინო მომსახურებას შეიძლება აწვდიდნენ 24-საათიან რეჟიმშიც, თუმცა, მათში ცალკეული პაციენტის დაყოვნების ხანგრძლივობა არ აღემატება 24 საათს. ამბულატორიული სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებები იყოფა შემდეგ ტიპებად:

ა) ოჯახის ექიმის/სოფლის ექიმის ოფისი და საოჯახო მედიცინის/სოფლის ამბულატორიული ცენტრი (ტიპი „ა“) – პირველადი ჯანდაცვის დაწესებულება, რომელიც ახორციელებს ჯანმრთელობის ხელშეწყობის, დაავადებების პრევენციის, სამკურნალო, სარეაბილიტაციო ღონისძიებებს, მათ შორის, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობაზე ზრუნვას, ოჯახის დაგეგმვას, გერიატრიულ და პალიატიურ მზრუნველობას და ა.შ. ის შეიძლება არსებობდეს, ასევე, არასამედიცინო დაწესებულებაში ინტეგრირებული სახით. აქვე, მოიაზრება საადმინისტრაციო-საგანმანათლებლო დაწესებულების (მაგ.: სკოლის) ექიმის ოფისი. საოჯახო მედიცინის/სოფლის ამბულატორიულ ცენტრში, ოჯახის ექიმის/სოფლის ექიმის ოფისისგან განსხვავებით, პირველადი ჯანდაცვის სერვისების მიწოდებას უზრუნველყოფს რამდენიმე საოჯახო მედიცინის/სოფლის ექიმის გუნდი;

ბ) ექიმ-სპეციალისტის კაბინეტი (ოფისი) (ტიპი „ბ“) - სამედიცინო დაწესებულება, რომელიც აწარმოებს ამბულატორიულ მომსახურებას ერთი

სპეციალიზებული კაბინეტის ფარგლებში. ის შეიძლება არსებობდეს, ასევე, არასამედიცინო დაწესებულებაში ინტეგრირებული სახით;

გ) სტომატოლოგიური კაბინეტი/კლინიკა (ტიპი „c“) – სამედიცინო დაწესებულება, რომელიც აწვდის როგორც პრევენციულ, ასევე სტანდარტულ სტომატოლოგიურ სერვისს, მათ შორის, შესაძლებელია, 24 საათის განმავლობაში ახორციელებდეს გადაუდებელი სტომატოლოგიური შემთხვევების მართვას; სტომატოლოგიური კაბინეტი შეიძლება არსებობდეს, ასევე, სხვა ტიპის სამედიცინო, ასევე, არასამედიცინო დაწესებულებაში ინტეგრირებული სახით;

დ) პოლიკლინიკა (ტიპი „d“) – სამედიცინო დაწესებულება, რომელიც აწარმოებს სხვადასხვა პროფილის, მ.შ. ზოგადი პროფილის, სპეციალიზებულ საკონსულტაციო-დიაგნოსტიკურ, სარეაბილიტაციო და სამკურნალო დახმარებას. აქვე მოიაზრება დისპანსერი, თუ ის იმავდროულად არ ახორციელებს სტაციონარულ მომსახურებას;

ე) დიაგნოსტიკური ცენტრი (ტიპი „e“) – სამედიცინო დაწესებულება, რომელშიც ხორციელდება პაციენტთა დიაგნოსტიკა (მათ შორის, ლაბორატორიული);

ვ) რეპროდუქციული ჯანმრთელობის ცენტრი (ტიპი „f“) – სამედიცინო დაწესებულება, რომელიც აწარმოებს სამეანო-გინეკოლოგიურ (მ.შ. ანტენატალური მოვლა) და/ან რეპროდუქციულ სერვისებს (ოჯახის დაგეგმარება, ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებები, სკრინინგი და სხვა). ასევე, ის უფლებამოსილია, აწარმოოს დამხმარე (მ.შ. ფსიქოლოგიური) სერვისები;

ზ) სარეაბილიტაციო-გამაჯანსაღებელი დაწესებულება (მ.შ. სამკურნალო ფიზიკულტურისა და სპორტული მედიცინის ცენტრი, სპეციალიზებული კაბინეტი, სანატორიუმი) (ტიპი „g“) – ამბულატორიული სამედიცინო დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს სარეაბილიტაციო, აღდგენითი, ფიზიკური მედიცინის, სპორტული მედიცინის მომსახურების, ასევე, სოციალური და ფსიქოლოგიური სერვისების მიწოდებას. შესაძლებელია, ის დახმარებას უწევდეს სპეციალური საჭიროებების მქონე პირებს;

თ) დიალიზის ცენტრი (ტიპი „h“) – სამედიცინო დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებული პაციენტებისათვის დიალიზის სერვისის მიწოდებას ამბულატორიულ რეჟიმში;

ი) დღის სტაციონარი (მ.შ. ენდოსკოპიური, ლითოტრიპსიული, ოფთალმოლოგიური და სხვ. სერვისის მიმწოდებელი) (ტიპი „i“) – სამედიცინო დაწესებულება, რომელშიც საკონსულტაციო-დიაგნოსტიკური, სარეაბილიტაციო და სამკურნალო დახმარება მიეწოდებათ იმ პაციენტებს, რომლებიც არ საჭიროებენ სადღეღამისო სამედიცინო დაკვირვებას/მკურნალობას სტაციონარის პირობებში; ის, ასევე, შესაძლებელია ინტეგრირებული იქნეს სხვადასხვა ტიპის (მ.შ. სტომატოლოგიურ) ამბულატორიულ დაწესებულებაში;

კ) გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცენტრი (ტიპი „j“) – სამედიცინო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს გადაუდებელი დახმარების (EMERGENCY) სერვისებს: ურგენტული/მწვავე დაავადებების, მდგომარეობების და/ან დაზიანებების მართვას - შეფასებას, დიაგნოსტიკას, მკურნალობასა და პაციენტის შემდგომი დისპოზიციის საკითხის გადაწყვეტას და რომელშიც პაციენტის დაყოვნება არ აღემატება 24 საათს;

ლ) ნარკოლოგიური ცენტრი (ტიპი „k“) – სამედიცინო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს ნარკომანიით და/ან ალკოჰოლიზმით დაავადებულ პირთა სამკურნალო/სარეაბილიტაციო ღონისძიებებს, მ.შ. ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამებს.

მუხლი 4. სტაციონარული დაწესებულებები¹

1. სტაციონარული სერვისების მიწოდებელი დაწესებულებები აწარმოებენ დაავადებათა პროფილაქტიკასთან, დიაგნოსტიკასთან, მკურნალობასთან, რეაბილიტაციასა და/ან პალიატიურ მზრუნველობასთან დაკავშირებულ სამედიცინო მომსახურებას 24-საათიან რეჟიმში. ამასთან, სტაციონარულ დაწესებულებაში ცალკეული პაციენტის დაყოვნება აღემატება 24 საათს. სტაციონარული დაწესებულებები იყოფა შემდეგ ტიპებად: არასპეციალიზებული (ტიპი A), სპეციალიზებული (ტიპი B), შერეული (ტიპი C) და სარეაბილიტაციო-გამაჯანსაღებელი (ტიპი „D“):

ა) არასპეციალიზებული სტაციონარები (ტიპი A) იყოფა ქვეტიპებად:

ა.ა) გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სტაციონარი (ქვეტიპი „AA“) – რომელშიც 24 საათის განმავლობაში უზრუნველყოფილია ბაზისური ამბულატორიულ-სადიაგნოსტიკო და I დონის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების (მათ შორის, ტრავმის/დაზიანების მართვის I დონის) სერვისის ხელმისაწვდომობა ყველა ასაკის პაციენტისათვის². დამატებით, შესაბამისი (მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული) მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ის უფლებამოსილია, აწარმოოს I დონის ქირურგიული სერვისი და I დონის ინტენსიური მოვლა (I დონის ქირურგიული სერვისის წარმოებისას I დონის ინტენსიური მოვლის სერვისის მიწოდება სავალდებულოა). ამასთან, ქირურგიული სერვისის დამატების შემთხვევაში, ამ ტიპის სტაციონარს შეუძლია აწარმოოს II დონის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების (მათ შორის, ტრავმის/დაზიანების მართვის II დონის) სერვისი;

ა.ბ) საბაზისო სტაციონარი (ქვეტიპი „AB“) – რომელშიც 24 საათის განმავლობაში უზრუნველყოფილია ბაზისური ამბულატორიულ-სადიაგნოსტიკო, II დონის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების (მათ შორის, ტრავმის/დაზიანების მართვის II დონის) - ყველა ასაკის პაციენტისათვის, I დონის ინტენსიური მოვლის, I დონის ქირურგიული, I დონის პერინატალური³, I დონის კარდიოლოგიური და I დონის ნევროლოგიური სერვისების მიწოდება. დამატებით, შესაბამისი (მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული) მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, დაწესებულება უფლებამოსილია, აამალოს ცალკეული ბაზისური სერვისის დონე ან/და აწარმოოს სხვა დამატებითი სერვის(ებ)ი. კერძოდ, უფლება აქვს, მიაწოდოს II დონის ქირურგიული, II ან/და III დონის ინტენსიური მოვლის, II დონის პერინატალური, II დონის კარდიოლოგიური და II დონის ნევროლოგიური სერვისები, ასევე, I დონის ქირურგიული, I დონის კარდიოლოგიური და I დონის ნევროლოგიური სერვისები ბავშვებისათვის. ამასთან, II დონის ქირურგიული სერვისის წარმოებისას სტაციონარს უნდა ჰქონდეს II ან/და III დონის ინტენსიური მოვლის სერვისი, ბავშვთა ქირურგიის სერვისის არსებობის შემთხვევაში უნდა უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი ინტენსიური მოვლის სერვისით. შესაბამისი სერვისების

¹სტაციონარული დაწესებულების ტიპის განსაზღვრისათვის იხელმძღვანელებით დანართი 1-ით.

²ბავშვთა გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სერვისის მიწოდების უფლება ასევე აქვთ გადაუდებელი მედიცინის სპეციალისტებს (2021 წლის 1 ივლისამდე), ამასთან, აღნიშნული სერვისის მიწოდება შესაძლებელია სხვა ექიმ-სპეციალისტის მიერ, კომპეტენციის შესაბამისად (2021 წლის 1 ივლისამდე).

³პერინატალური სერვისის დონე განისაზღვრება „პერინატალური სამსახურების რეგიონალიზაციის დონეებისა და პაციენტის რეფერალის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 15 იანვრის №01-2/ნ ბრძანებით.

დამატების/ბაზისური სერვისის დონის ამალღების შემთხვევაში, ამ ტიპის სტაციონარს შეუძლია აწარმოოს III დონის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების (მათ შორის, ტრავმის/დაზიანების მართვის III დონის) სერვისი;

ა.გ) მრავალპროფილიანი სტაციონარი⁴ არსებობს ორ სახის:

ა.გ.ა) მრავალპროფილიანი სტაციონარი (ქვეტიპი „AC“) – რომელშიც 24 საათის განმავლობაში უზრუნველყოფილია სრული ამბულატორიულ-სადიაგნოსტიკო, III დონის გადაუდებელი (მათ შორის, III დონის ტრავმის/დაზიანების მართვის) სამედიცინო დახმარების, სამივე (I, II და III) დონის ინტენსიური მოვლის, II დონის ქირურგიული, ასევე, II დონის პერინატალური (ასეთი სერვისის განხორციელების შემთხვევაში), II დონის კარდიოლოგიური და II დონის ნევროლოგიური სერვისების მიწოდება. იგი შეიძლება წარმოადგენდეს გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისა და საბაზისო სტაციონარებისათვის რეფერალურ სამედიცინო დაწესებულებას გადაუდებელი დახმარების ან/და ბაზისური⁵ სერვისების მიწოდების თვალსაზრისით. ასევე, ის შეიძლება აწვდიდეს ხანგრძლივი მოვლის სერვისებს. მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, მრავალპროფილიან სტაციონარს, ასევე, შეუძლია, აამაღლოს ცალკეული ბაზისური სერვისის დონე ან/და აწარმოოს სხვა დამატებითი სერვის(ებ)ი. კერძოდ, უფლება აქვს, მიაწოდოს III დონის ქირურგიული, III დონის პერინატალური, III დონის კარდიოლოგიური, III დონის ნევროლოგიური სერვისები. შესაბამისი სერვისების (ქირურგია, ნევროლოგია) დამატების/სერვისის დონის ამალღების შემთხვევაში, AC ტიპის სტაციონარს შეუძლია აწარმოოს IV დონის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების (მათ შორის, ტრავმის/დაზიანების მართვის IV დონის) სერვისი. მრავალპროფილიან სტაციონარს, შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ასევე, უფლება აქვს დაიმატოს ბავშვთა სერვისები;

ა.გ.ბ) პედიატრიული მრავალპროფილიანი სტაციონარი (ქვეტიპი „AC¹“) – რომელშიც 24 საათის განმავლობაში უზრუნველყოფილია პედიატრიული პროფილის სრული ამბულატორიულ-სადიაგნოსტიკო, ბავშვებისათვის III დონის გადაუდებელი (მათ შორის, III დონის ტრავმის/დაზიანების მართვის) სამედიცინო დახმარების, სამივე (I, II და III) დონის ინტენსიური მოვლის, II დონის ქირურგიული, I ან II დონის კარდიოლოგიური და II დონის ნევროლოგიური, ასევე, II დონის პერინატალური (სამეანო ან/და ნეონატოლოგიური (ასეთი სერვისის განხორციელების შემთხვევაში)) სერვისების მიწოდება. იგი შეიძლება წარმოადგენდეს გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისა და საბაზისო სტაციონარებისათვის რეფერალურ სამედიცინო დაწესებულებას ბავშვთა კონტინგენტისათვის გადაუდებელი დახმარების ან/და ბაზისური⁵ სერვისების მიწოდების თვალსაზრისით. ასევე, ის შეიძლება აწვდიდეს ბავშვთა ხანგრძლივი მოვლის სერვისებს. შესაბამისი (მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული) მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში პედიატრიულ მრავალპროფილიან სტაციონარს, ასევე, შეუძლია, აამაღლოს ცალკეული ბაზისური სერვისის დონე ან/და აწარმოოს სხვა დამატებითი სერვის(ებ)ი. კერძოდ, უფლება აქვს, მიაწოდოს

⁴ მრავალპროფილიანი სტაციონარის ქვეტიპი („AC“ ან „AC¹“) განისაზღვრება ბაზისური სერვისების მიხედვით (არსებობითა და შესაბამისი დონით). იმ შემთხვევაში, როცა ბაზისური სერვისების მიხედვით მრავალპროფილიანი სტაციონარი აკმაყოფილებს ორივე ქვეტიპის („AC“ ან „AC¹“) მოთხოვნებს, მას მიენიჭება ორივე ქვეტიპი.

⁵ ბაზისური სერვისების განმარტება მოცემულია დანართ 1-ში.

ბავშვებისათვის III დონის ქირურგიული, III დონის კარდიოლოგიური, III დონის ნევროლოგიური სერვისები, ასევე III დონის პერინატალური (ნეონატალური) სერვისი. შესაბამისი სერვისების (ქირურგია, ნევროლოგია) დამატების/სერვისის დონის ამაღლების შემთხვევაში, AC¹ ტიპის სტაციონარს შეუძლია აწარმოოს IV დონის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების (მათ შორის, ტრავმის/დაზიანების მართვის IV დონის) სერვისი ბავშვებისათვის. პედიატრიულ მრავალპროფილიან სტაციონარს, შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ასევე, უფლება აქვს დაიმატოს მოზრდილთა სერვისები.

ა.დ) რეფერალური მრავალპროფილიანი სტაციონარი⁶ არის ორი სახის:

ა.დ.ა) რეფერალური მრავალპროფილიანი სტაციონარი (ქვეტიპი „AD“) – რომელშიც 24 საათის განმავლობაში უზრუნველყოფილია სრული ამბულატორიულ-სადიაგნოსტიკო, IV დონის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების (მათ შორის, ტრავმის/დაზიანების მართვის IV დონის) სერვისის, სამივე (I, II და III) დონის ინტენსიური მოვლის, III დონის ქირურგიული, III დონის პერინატალური (სამეანო და ნეონატოლოგიური (ასეთი სერვისის განხორციელების შემთხვევაში)), III დონის კარდიოლოგიური და III დონის ნევროლოგიური სერვისების მიწოდება. იგი წარმოადგენს რეფერალის ბოლო საფეხურს როგორც გადაუდებელი დახმარების, ასევე, ბაზისური და მთელი რიგი სპეციალიზებული სერვისების მიწოდების თვალსაზრისით. ასევე, ის შეიძლება აწვდიდეს ხანგრძლივი მოვლის სერვისებს. შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში მას, ასევე, შეუძლია აწარმოოს სხვა დამატებითი სერვის(ებ)ი. ბავშვთა სერვისების წარმოება შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი სპეციალისტების არსებობის შემთხვევაში;

ა.დ.ბ) პედიატრიული რეფერალური მრავალპროფილიანი სტაციონარი (ქვეტიპი „AD¹“) – რომელშიც 24 საათის განმავლობაში უზრუნველყოფილია პედიატრიული პროფილის სრული ამბულატორიულ-სადიაგნოსტიკო, ბავშვებისათვის IV დონის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების (მათ შორის, ტრავმის/დაზიანების მართვის IV დონის) სერვისის, სამივე (I, II და III) დონის ინტენსიური მოვლის, III დონის ქირურგიული, III დონის პერინატალური (სამეანო ან/და ნეონატოლოგიური (ასეთი სერვისის განხორციელების შემთხვევაში)), III დონის კარდიოლოგიური და III დონის ნევროლოგიური სერვისების მიწოდება. იგი წარმოადგენს რეფერალის ბოლო საფეხურს როგორც გადაუდებელი დახმარების, ასევე ბაზისური და მთელი რიგი სპეციალიზებული სერვისების მიწოდების თვალსაზრისით. ასევე, ის შეიძლება აწვდიდეს ხანგრძლივი მოვლის სერვისებს ბავშვებისათვის. შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში მას, ასევე, შეუძლია აწარმოოს სხვა დამატებითი (მ.შ. მოზრდილთა) სერვის(ებ)ი.

ა.ე) საუნივერსიტეტო სტაციონარი (ქვეტიპი „AE“) – სამედიცინო პროფილის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კუთვნილი, მრავალპროფილიანი, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მქონე, კვალიფიციური ექიმებითა და აკადემიური პერსონალით დაკომპლექტებული სტაციონარული სამედიცინო დაწესებულება, რომელშიც მიმდინარეობს დიპლომამდელი და დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლება და სამეცნიერო კვლევა; საუნივერსიტეტო კლინიკა,

⁶ რეფერალური მრავალპროფილიანი სტაციონარის ქვეტიპი („AD“ ან „AD¹“) განისაზღვრება ბაზისური სერვისების მიხედვით (არსებობითა და შესაბამისი დონით). იმ შემთხვევაში, როცა ბაზისური სერვისების მიხედვით რეფერალური მრავალპროფილიანი სტაციონარი აკმაყოფილებს ორივე ქვეტიპის („AD“ ან „AD¹“) მოთხოვნებს, მას მიენიჭება ორივე ქვეტიპი.

იმავედროულად, წარმოადგენს რეფერალურ მრავალპროფილიან (მ.შ. პედიატრიულ) /მრავალპროფილიან (მ.შ. პედიატრიულ) სტაციონარს.

ბ) სპეციალიზებული სტაციონარი (ტიპი „B“) – დაწესებულება, რომელიც ორიენტირებულია უპირატესად ნოზოლოგიათა და მდგომარეობათა განსაზღვრული ჯგუფის მართვაზე, დიაგნოსტიკებასა და მკურნალობაზე. ის შესაძლებელია, ჩართული იყოს სამედიცინო განათლებასა და სამეცნიერო კვლევებში, ასევე, სპეციალიზებული სერვისისათვის შეიძლება წარმოადგენდეს რეფერალის ბოლო საფეხურს, შესაბამისი (მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული) მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში. სპეციალიზებულ სტაციონარებს მიეკუთვნება:

ბ.ა) ფსიქიატრიული - უზრუნველყოფს მენტალური პრობლემების მქონე პაციენტების დიაგნოსტიკას, მკურნალობასა და რეაბილიტაციას. ის, მენტალური პრობლემების მქონე პაციენტებს, ასევე, შეიძლება აწვდიდეს ხანგრძლივი მოვლის სერვისებს (BF);

ბ.ბ) ნარკოლოგიური - უზრუნველყოფს ალკოჰოლიზმით დაავადებული და წამლისმიერი დამოკიდებულების მქონე პაციენტების დიაგნოსტიკას, მკურნალობასა და რეაბილიტაციას. ის, ასევე, შეიძლება აწვდიდეს ხანგრძლივი მოვლის სერვისებს (BN);

ბ.გ) ფთიზიატრიული – უზრუნველყოფს ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტების დიაგნოსტიკას, მკურნალობასა და რეაბილიტაციას. ის, ასევე, შეიძლება აწვდიდეს ხანგრძლივი მოვლის სერვისებს(BTb);

ბ.დ) სამეანო-გინეკოლოგიური – უზრუნველყოფს სამეანო და/ან გინეკოლოგიური სერვისების მიწოდებას; პერინატალური მომსახურების მიწოდებელი დაწესებულების სერვისის დონე განისაზღვრება შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით (BOb&G);

ბ.ე) უროლოგიური (BUr), ინფექციური (BInf), ონკოლოგიური (BOnk), კარდიოლოგიური (BCor), პედიატრიული (BPed) და სხვა - უზრუნველყოფს შესაბამისი პროფილის პაციენტების დიაგნოსტიკას, მკურნალობასა და რეაბილიტაციას.

გ) შერეული მრავალპროფილიანი სტაციონარი (ტიპი „C“), რომელიც შეიძლება არ აწარმოებდეს ან სრულად არ აწარმოებდეს ბაზისურ სერვისებს, მაგრამ აწარმოებდეს სხვა ორ და მეტ სპეციალიზებულ სერვისს. იგი შეიძლება წარმოადგენდეს გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისა და საბაზისო სტაციონარებისათვის რეფერალურ სამედიცინო დაწესებულებას რიგი სერვისების (მათ შორის, ბაზისური) მიწოდების თვალსაზრისით. ასევე, ის შეიძლება აწვდიდეს ხანგრძლივი მოვლის სერვისებს;

დ) სარეაბილიტაციო-გამაჯანსაღებელი სტაციონარი (ტიპი „D“) – სამედიცინო დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს სამედიცინო სერვისების მიწოდებას იმ პაციენტებისათვის, რომელთა მდგომარეობა სტაბილურია, თუმცა საჭიროებენ სარეაბილიტაციო მომსახურებას და/ან შემდგომ მეთვალყურეობას. ის, შესაძლებელია, დახმარებას უწევდეს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირებსაც.

2. კარდიოლოგიური, ქირურგიული, ნევროლოგიური სპეციალიზებული დაწესებულების სერვისების დონე განისაზღვრება ამ ბრძანებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. ამასთან, II და III დონის პერინატალური, II და III დონის კარდიოლოგიური, II და III დონის ნევროლოგიური სერვისების წარმოებისას სტაციონარს უნდა გააჩნდეს II და III დონის ინტენსიური მოვლის სერვისი, ხოლო სხვადასხვა პროფილის ბავშვთა კონტინგენტის მომსახურებას უზრუნველყოფდეს შესაბამისი ექიმი სპეციალისტების მეშვეობით.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №01-137/ნ - ვებგვერდი, 31.12.2019წ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 29 იანვრის ბრძანება №01-8/ნ - ვებგვერდი, 01.02.2021წ.

მუხლი 5. ხანგრძლივი მოვლის დაწესებულებები

ხანგრძლივი მოვლის დაწესებულებები – სამედიცინო-სოციალური, საპატრონაჟო და ხანგრძლივი დაყოვნების დაწესებულებები, რომლებიც აწარმოებენ მიზნობრივი კონტინგენტის (მოხუცი, ბავშვი, შშმ პირი, ტრეფიკინგის მსხვერპლი, ფსიქიკური პრობლემების მქონე პირი, ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტი და ა.შ.) გრძელვადიან კლინიკურ, პალიატიურ და სარეაბილიტაციო სერვისებს. ისინი აერთიანებენ შემდეგ ტიპებს:

ა) საექთნო მოვლის დაწესებულება/ცენტრი – სამედიცინო დაწესებულება, სადაც ექიმის ზედამხედველობით, ექთნების მიერ ხორციელდება იმ პაციენტების 24 საათიანი საექთნო მოვლა, რომელთაც არ ესაჭიროებათ სტაციონარული მკურნალობა, თუმცა, მათი ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა მოითხოვს საექთნო სერვისების მუდმივ მიწოდებას;

ბ) დღის ცენტრი – სამედიცინო დაწესებულება, სადაც ხორციელდება ექთნების მიერ, ექიმების ზედამხედველობით, პროფილაქტიკური, დიაგნოსტიკური, სამკურნალო და სარეაბილიტაციო სერვისების მიწოდება იმ პაციენტებისათვის, რომელთა ფუნქციური შესაძლებლობები შეზღუდულია. დღის ცენტრი პაციენტებს სამედიცინო მომსახურებას უწევს ყოველდღიურად, თუმცა, მასში პაციენტების დაყოვნება არ აღემატება 12 საათს.

მუხლი 6. შინმოვლის დაწესებულებები

შინმოვლის სერვისების მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულება ახორციელებს ხანგრძლივი მოვლის ღონისძიებებს ბინაზე, შესაბამისი ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის ვიზიტის საშუალებით. მას მიეკუთვნება:

ა) ბინაზე საექიმო/საექთნო სერვისის მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულება, რომელშიც ექიმის ზედამხედველობით, ექთნების მიერ, ხორციელდება იმ პაციენტების საექთნო მომსახურება, რომელთა მდგომარეობა არ მოითხოვს სტაციონარულ მკურნალობას, მაგრამ საჭიროებს მოვლას;

ბ) ბინაზე სამედიცინო მოწყობილობათა მიმწოდებელი დაწესებულება – სამედიცინო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს იმ პაციენტების სამედიცინო მოწყობილობითა და შესაბამისი სერვისით უზრუნველყოფას, რომელთაც ესაჭიროებათ აპარატურული მხარდაჭერა ბინაზე.

მუხლი 7. ჰოსპისი

1. სამედიცინო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს პალიატიურ და დამხმარე მომსახურებას ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფი პაციენტებისა და მათი ოჯახის წევრების ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სოციალური და სულიერი მხარდაჭერის მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ ზემოხსენებული სერვისები მიეწოდება პაციენტს ბინაზე, აღნიშნული განიხილება როგორც შინმოვლის სერვისი.

2. ჰოსპისი იყოფა ორ ტიპად:

ა) ჰოსპისი, რესპირატორული მხარდაჭერის უზრუნველყოფის შესაძლებლობით;

ბ) ჰოსპისი, რესპირატორული მხარდაჭერის უზრუნველყოფის შესაძლებლობის გარეშე.

მუხლი 8. სასწრაფო გადაუდებელი დახმარებისა და სამედიცინო ტრანსპორტირების (რეფერალის) სამსახურები

სასწრაფო გადაუდებელი დახმარებისა და სამედიცინო ტრანსპორტირების (რეფერალის) სამსახურები მოიცავს შემდეგ ტიპებს:

ა) სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური – ერთეული, რომელიც ახორციელებს სასწრაფო სამედიცინო დახმარების სერვისს პრეჰოსპიტალურ ეტაპზე, ასევე, გადაუდებელ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის სამედიცინო ტრანსპორტირებას, როცა სხვა შესაბამისი სამსახურის მიერ პაციენტის რეფერალის უზრუნველყოფა შეუძლებელია ან ვერ ხორციელდება გონივრულ დროში, პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე;

ბ) სამედიცინო ტრანსპორტირების (რეფერალის) სამსახური – ერთეული, რომელიც რეფერალური მომსახურების ფარგლებში, ადგილზე ახორციელებს კრიტიკულ და გადაუდებელ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის კონსულტაციას, მდგომარეობის სტაბილიზაციას, გართულებულ შემთხვევებში უზრუნველყოფს დროულ სამედიცინო ტრანსპორტირებას სათანადო სატრანსპორტო საშუალებით, რომელიც აღჭურვილია, მ.შ. დაკვირვების ავტომატური სისტემით ძირითადი სასიცოცხლო ფუნქციების მართვისათვის. მას, ასევე, გამონაკლის შემთხვევებში, შეუძლია შეასრულოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის ფუნქცია.

მუხლი 9. დამხმარე სერვისების მიმწოდებელი დაწესებულებები

დამხმარე სერვისების მიმწოდებელი დაწესებულებები აერთიანებს შემდეგ ტიპებს:

ა) სასამართლო-სამედიცინო საექსპერტო დაწესებულებას, რომელიც, კანონმდებლობის თანახმად, ეწევა პირველად, დამატებით, განმეორებით, საკომისიო, კომპლექსურ და ალტერნატიულ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზებს;

ბ) სამედიცინო-პათოლოგანატომიურ დაწესებულებას (ან სტაციონარის ბაზაზე არსებულ ერთეულს), რომელიც ეწევა ცოცხალი ორგანიზმიდან (ნაცხის, ბიოფსიის, ოპერაციის გზით), ასევე, გვამიდან (აუტოფსიის გზით) მიღებული მასალის დიაგნოსტიკას და კლინიკური საქმიანობის ხარისხის კონტროლს. ხსენებული მოიცავს შემდეგ ქვეტიპებს:

ბ.ა) კლინიკური პათოლოგიის სერვისის მიმწოდებელი - ეწევა მიღებული მასალის (მაგ.: ნაცხის, პუნქტატის, ბიოფსიული ან ოპერაციული და სხვა) დიაგნოსტიკას;

ბ.ბ) კლინიკური პათოლოგიის და პათოლოგიური ანატომიის სერვისის მიმწოდებელი – ახორციელებს როგორც მიღებული მასალის (მაგ.: ნაცხის, პუნქტატის, ბიოფსიული ან ოპერაციული და სხვა) დიაგნოსტიკას, ასევე, გვამის გაკვეთას.

გ) სისხლის ბანკს – სამედიცინო დაწესებულებას (ან სტაციონარის ბაზაზე არსებულ ერთეულს), რომელიც, კანონმდებლობის თანახმად, ახორციელებს სისხლისა და მისი კომპონენტების დამზადებას, შენახვასა და მიწოდებას;

დ) ტრანსპლანტაციის ბანკს – სამედიცინო დაწესებულებას, რომელიც ახორციელებს გარდაცვლილი ან/და ცოცხალი დონორების ტესტირებას, შერჩევას, ორგანოს, ორგანოთა ნაწილების, ქსოვილებისა და უჯრედების აღებას, ტიპირებას, ტრანსპორტირებას, დამუშავებას და შენახვას ტრანსპლანტაციისათვის გამოყენების მიზნით.

მუხლი 10. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ლაბორატორიები

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ლაბორატორიები უზრუნველყოფენ იმ ლაბორატორიული სერვისების მიწოდებას, რომლებიც ხორციელდება დაავადებათა პრევენციისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებათა ფარგლებში. აღნიშნული მოიცავს:

- ა) გარემო ობიექტების ლაბორატორიულ კვლევებს;
- ბ) ეპიდემიოლოგიის ლაბორატორიულ დიაგნოსტიკას;
- გ) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სასწრაფო შეტყობინებას დაქვემდებარებული შემთხვევების ლაბორატორიულ მხარდაჭერას;
- დ) ბიოტერორიზმის პრევენციის მიზნით განხორციელებულ კვლევებს.

დანართი 1

მეთოდოლოგია სტაციონარული დაწესებულების ტიპის განსაზღვრისათვის

1. სტაციონარული დაწესებულების ტიპი განისაზღვრება სერვისების ხასიათის და მოცულობის, ასევე, კუთვნილების შესაბამისად.

2. სერვისების ხასიათის და მოცულობის მიხედვით არსებობს არასპეციალიზებული (გადაუდებელი სამედიცინო დახმარების, საბაზისო, ბავშვთა და მოზრდილთა მრავალპროფილიანი და რეფერალური მრავალპროფილიანი), სპეციალიზებული, შერეული და სარეაბილიტაციო-გამაჯანსაღებელი სტაციონარების ტიპები. კუთვნილების მიხედვით არასპეციალიზებული სტაციონარის ტიპში ცალკე განისაზღვრება დამოუკიდებელი ქვეტიპი - საუნივერსიტეტო სტაციონარი.

3. არასპეციალიზებულ სტაციონარების კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს საბაზისო სერვისების არსებობა და მათი დონე. საბაზისო სერვისებია: გადაუდებელი სამედიცინო დახმარების, ტრავმის/დაზიანების მართვის, ქირურგიული, ინტენსიური მოვლის, პერინატალური მოვლის, კარდიოლოგიური და ნევროლოგიური სერვისები.

4. საბაზისო სერვისების დონეებია:

ა) გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მოვლის დონეები – Emerg – I, II, III, IV;

ბ) ტრავმის/დაზიანების მართვის დონეები –Tr– I, II, III, IV;

გ) ქირურგიული სერვისების (ოპერაციების კატეგორიების მიხედვით) დონეები - Surg – I, II, III;

დ) პერინატალური მოვლის დონეები – Per - I, II, III;

ე) ინტენსიური მოვლის დონეები – ICU - I, II, III;

ვ) კარდიოლოგიური სერვისის დონეები- Cor - I, II, III;

ზ) ნევროლოგიური სერვისის დონეები- Neur - I, II, III.

5. აღნიშნული სერვისების მიხედვით არასპეციალიზებული სტაციონარული დაწესებულებები (ტიპი „A“) იყოფა შემდეგ ქვეტიპებად:

ა) გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სტაციონარი (ტიპი „AA“) - სერვისები: EmergI+ TrI;

ბ) საბაზისო სტაციონარი (ტიპი „AB“) – სერვისები: EmergII+ TrII+SurgI+ICUI+PerI+ CorI +NeurI;

გ) მრავალპროფილიანი სტაციონარი:

გ.ა) ქვეტიპი „AC“ – სერვისები: EmergIII + TrIII +Surg II +ICUI,II,III+ PerII⁷+

CorII+ NeurII;

გ.ბ) ქვეტიპი „AC¹“ – სერვისები: EmergIII + TrIII +Surg II +ICUI,II,IIIPED+ PerII⁷+ CorI/CorII + NeurII.

დ) რეფერალური მრავალპროფილიანი სტაციონარი:

დ.ა) ქვეტიპი „AD“ – სერვისები: EmergIV + TrIV +SurgIII+ PerIII⁷ +ICUI,II,III + CorIII + NeurIII;

დ.ბ) ქვეტიპი „AD¹“ – სერვისები: EmergIV + TrIV +SurgIII+ PerIII⁷ + ICUI,II, IIIPED + CorIII + NeurIII.

6. თითოეულ არასპეციალიზებულ სტაციონარს, სათანადო მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, შეუძლია, დაიმატოს შემდგომი დონის ერთი ან რამდენიმე სერვისი. მაგალითად, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სტაციონარი შეიძლება წარმოდგენილ იქნეს შემდეგი სერვისებით: EmergI+TrI+SurgII +ICUI.

7. იმ შემთხვევაში, თუ არასპეციალიზებული სტაციონარი (საბაზისო და მრავალპროფილიანი) დაიმატებს მასზე მაღლა მდგომი სტაციონარის ყველა შესაბამის სერვისს, მას მიენიჭება აღნიშნული სტაციონარის სტატუსი.

8. საბაზისო სერვისებში სპეციალიზებული სტაციონარის დონე, ასევე, განისაზღვრება მის მიერ მიწოდებული შესაბამისი საბაზისო სერვისის დონით. მაგალითად, კარდიოლოგიური სერვისის დონის მიხედვით შესაძლებელია არსებობდეს სპეციალიზებული კარდიოლოგიური კლინიკის (ტიპი „BCor⁸“) სამი ქვეტიპი (I, II, III).

დანართი 2

გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მოვლის დონეები

გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სერვისების მიმწოდებელ დაწესებულებას, სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე, შეიძლება მიენიჭოს მოვლის ოთხი დონე. კერძოდ:

ა) I დონე – გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ერთეულში 24 საათის განმავლობაში მორიგეობს შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმი-სპეციალისტი⁸, პაციენტს გაეწევა სათანადო მოვლა, რომლის მიზანია გადაუდებელი მდგომარეობის იდენტიფიცირების შემთხვევაში, პირველადი დახმარების აღმოჩენა და იმ უახლოეს კლინიკაში რეფერალის განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს საჭირო სერვისების ხელმისაწვდომობას;

ბ) II დონე – გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ერთეულში მორიგეობს შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმი-სპეციალისტი⁸, პაციენტისათვის ხორციელდება გადაუდებელი დახმარების გაწევა 24 საათის მანძილზე, გამოძახებიდან არაუმეტეს 30 წუთში ხელმისაწვდომია სხვა, შესაბამისი კვალიფიკაციის ერთი ექიმი-სპეციალისტი (ზოგადი ქირურგი). დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა, უზრუნველყოს კარდიოლოგიური დახმარება და ტრავმის მართვა, ასევე, ტრავმული პაციენტების შემთხვევაში, აწარმოოს გადაუდებელი ქირურგიული ჩარევები;

⁷ასეთი სერვისის არსებობის შემთხვევაში.

⁸„გადაუდებელი მედიცინის“ სპეციალისტი, ასევე, სხვა ექიმ-სპეციალისტი, კომპეტენციის შესაბამისად (2021 წლის 1 ივლისამდე).

გ) III დონე - პაციენტისათვის ხორციელდება გადაუდებელი დახმარების გაწევა 24 საათის მანძილზე. გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ერთეულში მორიგეობს შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმი-სპეციალისტი⁸, ხოლო სხვა ექიმ-სპეციალისტების კონსულტაცია უნდა განხორციელდეს არაუმეტეს 30 წუთის განმავლობაში;

დ) IV დონე – პაციენტისათვის 24 საათის მანძილზე ხორციელდება ყოველმხრივი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა. გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ერთეულში მორიგეობს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმი-სპეციალისტ(ებ)ი⁸. ამ დონეზე ხორციელდება: თერაპიული, ქირურგიული (მ.შ. ნეიროქირურგია), ტრავმატოლოგია-ორთოპედიული, სამეანო-გინეკოლოგიური, პედიატრიული, რენიმატოლოგია-ანესთეზიოლოგიური სერვისების მიწოდება ადგილზე. გასათვალისწინებელია, რომ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცენტრმა/დეპარტამენტმა, საჭიროების შემთხვევაში, უნდა უზრუნველყოს - სხვა ექიმ-სპეციალისტთა (მ.შ. ხელშეკრულებით განხორციელებული სპეციალისტების არსებობის პირობებში) მომსახურების მიწოდება, სამედიცინო საჭიროების დადგომიდან 30 წუთის განმავლობაში.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №01-137/ნ - ვებგვერდი, 31.12.2019წ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 29 იანვრის ბრძანება №01-8/ნ - ვებგვერდი, 01.02.2021წ.

დანართი 3

ტრავმის/ დაზიანების მართვის დონეები

1. ტრავმის/დაზიანების მართვის I დონე – გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებას გააჩნია ყველა საჭირო რესურსი ტრავმის/დაზიანების პირველადი მართვის და პაციენტის მდგომარეობის სტაბილიზაციისთვის, უფრო მაღალი დონის დაწესებულებაში რეფერალის განხორციელებამდე.

2. ტრავმის/დაზიანების მართვის II დონე – დაწესებულება ფლობს ყველა რესურსს, რათა უზრუნველყოს ტრავმის/დაზიანების სწრაფი შეფასება, რენიმაციული ღონისძიებების ჩატარება, გადაუდებელი ქირურგიული ოპერაციები, პაციენტის მდგომარეობის სტაბილიზაცია და, საჭიროების შემთხვევაში, III ან IV დონეზე რეფერალის ორგანიზაცია.

3. ტრავმის/დაზიანების მართვის III დონე – სტაციონარული დაწესებულება ახორციელებს ფართო სპექტრის სტაციონარულ სერვისებს (გარდა მაღალტექნოლოგიური სერვისებისა) და ფლობს ტრავმის/დაზიანების პირველადი სრულყოფილი მართვისთვის საჭირო რესურსს, მიუხედავად დაზიანების ხასიათის და სიმწვავისა. ამ დონეზე სტაციონარული დაწესებულება 24 საათის განმავლობაში უნდა ახორციელებდეს შემდეგ სერვისებს: ზოგადი ქირურგია, ტრავმატოლოგია-ორთოპედია, ანესთეზიოლოგია და რენიმატოლოგია, ნევროლოგია, რადიოლოგია, ხოლო სხვა სერვისები შესაძლებელია განხორციელდეს ექიმ-კონსულტანტების მეშვეობით.

4. ტრავმის/დაზიანების მართვის IV დონე – მრავალპროფილური მაღალტექნოლოგიური ან რეგიონის წამყვანი მრავალპროფილური სტაციონარული დაწესებულება, რომელიც ფლობს სამედიცინო პერსონალის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულ რესურსს ტრავმის/დაზიანების ნებისმიერი ასპექტის ყოველმხრივი მოვლის უზრუნველსაყოფად. ტრავმის/დაზიანების მართვის ამ დონეზე 24 საათის განმავლობაში ხელმისაწვდომი უნდა იყოს შემდეგი სერვისები: ზოგადი ქირურგია, ტრავმატოლოგია-ორთოპედია, ანესთეზიოლოგია და რეანიმატოლოგია, ნეიროქირურგია, ნევროლოგია, კარდიოლოგია, ენდოსკოპია, რადიოლოგია (კომპიუტერული ტომოგრაფია ან/და მაგნიტურ-ბირთვული რეზონანსი) და ლაბორატორიული სამსახური, ხოლო სისხლძარღვთა, თორაკალური და პლასტიკური და რეკონსტრუქციულ-ქირურგიული სერვისები შესაძლებელია განხორციელდეს ექიმ-კონსულტანტების მეშვეობით.

დანართი 4

ინტენსიური მოვლის დონეები⁹

№	დასახელება	განმარტება
1	I დონის ინტენსიური მოვლა	<p>ინტენსიური მკურნალობა/მოვლა პაციენტებისთვის, რომლებსაც აღენიშნებათ სტაბილური ჰემოდინამიკა და რესპირაცია, თუმცა ვიტალური ფუნქციების მოსალოდნელი გაუარესების ან ოპერაციის დონის გამო, საჭიროებენ მუდმივ ინტენსიურ მეთვალყურეობას და ფარმაკოლოგიურ ან/და მინიმალურ აპარატურულ მხარდაჭერას.</p> <p>ეს პაციენტები იმყოფებიან ერთი ან მეტი სასიცოცხლო ფუნქციის უკმარისობის განვითარების რისკის ქვეშ, მათ შორის არიან პაციენტები, რომელთაც მოეხსნათ ერთი ან მეტი სასიცოცხლო ფუნქციის მწვავე უკმარისობა, მაგრამ მათი მდგომარეობა ჯერ კიდევ არასტაბილურია.</p> <p>უნდა შესაძლებელი იყოს ფილტვების მექანიკური ვენტილაციის უზრუნველყოფა რამდენიმე საათის განმავლობაში.</p>
2	II დონის ინტენსიური მოვლა	<p>ინტენსიური მკურნალობა/მოვლა პაციენტებისთვის, რომლებსაც აღენიშნებათ ერთი სასიცოცხლო ფუნქციის მწვავე უკმარისობა და საჭიროებენ ფარმაკოლოგიურ და ერთი სასიცოცხლო ფუნქციის აპარატურულ მხარდაჭერას (მაგ., მართვითი სუნთქვა, ჰემოდინამიკის რეგულაცია, თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპია) .</p> <p>ასევე, ამ დონეზე ხორციელდება ინტენსიური მკურნალობა/მოვლა პაციენტებისთვის, რომლებიც ოპერაციის დონის გამო საჭიროებენ ფარმაკოლოგიურ ან/და ერთი სასიცოცხლო ფუნქციის აპარატურულ მხარდაჭერას.</p>

⁹ ინტენსიური მოვლის სერვისის მიწოდება ბავშვებისათვის შესაძლებელია შესაბამისი სპეციალისტის არსებობის შემთხვევაში.

3	III დონის ინტენსიური მოვლა	<p>ინტენსიური მკურნალობა/მოვლა პაციენტებისთვის, რომლებსაც აღენიშნებათ:</p> <p>1. ორი ან მეტი სასიცოცხლო ფუნქციის მწვავე უკმარისობა, საჭიროებენ ორი ან მეტი სასიცოცხლო ფუნქციის აპარატურულ მხარდაჭერას (მაგ., მართვითი სუნთქვა, ჰემოდინამიკის რეგულაცია, თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპია) და/ან</p> <p>2. ერთი სასიცოცხლო ფუნქციის მწვავე უკმარისობა, საჭიროებენ ერთი სასიცოცხლო ფუნქციის აპარატურულ მხარდაჭერას (მაგ., მართვითი სუნთქვა, ჰემოდინამიკის რეგულაცია, თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპია) და პარენტერალურ კვებას და/ან</p> <p>3. ერთი სასიცოცხლო ფუნქციის მწვავე უკმარისობა და ნოზოკომიური ინფექცია, საჭიროებენ ერთი სასიცოცხლო ფუნქციის აპარატურულ მხარდაჭერას (მაგ., მართვითი სუნთქვა, ჰემოდინამიკის რეგულაცია, თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპია)</p>
---	----------------------------	---

დანართი 5

კარდიოლოგიური სერვისის დონეები

კარდიოლოგიური სერვისები (როგორც ბავშვთა, ასევე მოზრდილთა) იყოფა სამ დონედ:

